# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება № 100

## 2023 წლის 9 ივნისი

## ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.45.24.045) ნაწილი ფართის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ**

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციამ (ს/ნ 204532434) 2023 წლის 31 მარტის N 255/01 წერილით დააყენა საკითხი გორის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, სადაც აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2018 წლის 23 აპრილს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას (საგანი: ქალაქ გორში, სტალინის გამზ. N 16-ში მდებარე შენობაში (ს.კ. 66.45.24.045) მესამე სართულზე არსებული 6 (ექვსი) ოთახი) გაუვიდა მოქმედების ვადა და მოთხოვნილია ახალი ხელშეკრულების გაფორმება ორგანიზაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საოფისე ფართის გამოყოფასთან დაკავშრებით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას (ს/ნ 204532434) უსასყიდლოდ, სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით გადაეცეს გორში, სტალინის გამზ. N 16 არსებულ შენობაში, (ს.კ. 66.45.24.045) მესამე სართულზე განლაგებული 6 (ექვსი) ოთახი (123.35 კვ.მ.).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას (ს/ნ 204532434) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: გორში, სტალინის გამზ. N 16-ში მდებარე შენობაში (ს.კ. 66.45.24.045) მესამე სართულზე არსებული 6 (ექვსი) ოთახი, ფართი 123.35 კვ.მ.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**